

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) საინფორმაციო ნოტა ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის შესახებ

ნინო ლომთაძე,
ტფდეც-ს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
14 აპრილი 2020
თბილისი



აქვთ თუ არა ტუბერკულოზით დაავადებულ პირებს, COVID-19-ით ინფიცირების, ავადმყოფობის და ლეტალობის გაზრდილი რისკი?

- მოსალოდნელია, რომ ტუბერკულოზითა და COVID-19-ით დაავადებულ პირებს შეიძლება ჰქონდეთ უფრო ცუდი მკურნალობის შედეგები, განსაკუთრებით თუ მოხდება ტუბერკულოზის მკურნალობის შეწყვეტა.
- ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტებმა უნდა შეასრულონ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სიფრთხილის ყველა რეკომენდაცია და განაგრძონ ტუბერკულოზის მკურნალობა დანიშნულებისამებრ.
- კონტაქტიდან დაავადებამდე ინკუბაციის პერიოდი ტუბერკულოზის შემთხვევაში უფრო ხანგრძლივია და ახასიათებს მდორე დასაწყისი.

რა ზომები უნდა გატარდეს ჯანდაცვის მესვეურების მხრიდან კოვიდ-19-ის პანდემიის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტუბ სერვისების შენარჩუნებისთვის? რომელი სერვისებით არის შესაძლებელი ორივე დაავადებაზე ზემოქმედება?

- **პრევენცია:** ადმინისტრაციული, გარემო და პერსონალური დაცვის ზომები საერთოა ორივე დაავადებისთვის და მოიცავს ინფექციის კონტროლის ძირითად ზომებს, ხველის ეტიკეტს და პაციენტების ტრიაჟს. ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობის მიწოდება უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად.
- **დიაგნოსტიკა:** ზუსტი სადიაგნოსტიკო ტესტების არსებობა არსებითია როგორც ტუბერკულოზისთვის ასევე კოვიდ-19-ის. ამ ორი დაავადების ტესტები განსხვავდება და რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის ორივე ხელისაწვდომი უნდა იყოს, ვინაიდან ორივე დაავადებას ერთნაირი გამოვლინება შეიძლება ქონდეთ.
- **მკურნალობა და მოვლა:** ტუბერკულოზის პროგრამის თანამშრომლებს დიდი გამოცდილება და უნარები გააჩნიათ შემთხვევების აქტიურ გამოვლენასა და კონტაქტების კვლევაში, შესაბამისად შეუძლიათ ტექნიკური და ლოჯისტიკური დახმარების გაწევა კოვიდ-19-თან ბრძლაში.

რა ზომები უნდა გატარდეს რათა კოვიდ-19-ით ინფიცირებისგან დავიცვათ ტუბსაწინააღმდეგო დაწესებულებებში და ლაბორატორიებში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკები და თემის წარმომადგენლები?

- ვიზიტების შერჩეულ დღეებზე და საათებზე დაგეგმვა, რაც თავიდან აგვაცილებს კლინიკის სხვა ვიზიტორებთან შეხვედრას, ასევე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მკურნალობის მხარდაჭერა და ვიზიტების მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელება როცა ინვაზიური კვლევები არის ჩასატარებელი;
- მედიკამენტების ის საკმარისი რაოდენობა უნდა გაიცეს პაციენტზე ან მომვლელზე რაც ეყოფა შემდეგ ვიზიტამდე ან სულაც მკურნალობის დასრულებამდე თუ კი სხვა მონიტორინგის ვიზიტები დაგეგმილი აღარ არის.
- განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განხორციელდეს ნახველის ნიმუშების ან ბრონქოალვეოლარული ლავაჟით მიღებული სითხის ტრანსპორტირება, ისევე როგორც ამ ნიმუშების ლაბორატორიაში მიღება და ამოლაგება, რათა თავიდან ავიცილოთ სტაფის, პაციენტების და სხვა პირების შეხება ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის გამომწვევებთან. უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონკრეტული ინსტრუქციებით დახმარებით ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის ნახველის ნიმუშების სახლში სხვებისგან მოშორებით აღებას (მაგალითად სახლის გარეთ ღია ცის ქვეშ, ან სახლში თუ იზოლირებულად არის პაციენტი).

რა ზომები უნდა გატარდეს რათა კოვიდ-19-ით ინფიცირებისგან დავიცვათ ტუბსაწინააღმდეგო დაწესებულებებში და ლაბორატორიებში მომუშავე ჯანდაცვის მუშაკები და თემის წარმომადგენლები?

- პანდემიის პირობებში რეკომენდებულია ნახველის ან სხვა ნებისმიერი ინფექციური მასალის ბიოუსაფრთხოების კაბინეტებში დამუშავება. თუმცა, თუ ბიოუსაფრთხოების კაბინეტი ხელმისაწვდომი არ არის, მკაცრად დაცული უნდა იყოს ყველა შემდეგი უსაფრთხოების ზომა: N95 რესპირატორი, ხელის დაბანის პროცედურა, ხელთათმანების და სათვალის ან დამცავი ფარის გამოყენება, წყალგაუმტარი ხალათები, ზედაპირების რეგულარული დეკონტამინაცია, სტაფის დისტანცირება ლაბორატორიებში, კარგად ვენტილირებული გარემო და ნიმუშების უსაფრთხო ტრანსპორტირება. ლაბორატორიული მასალის ტრანსპორტირებაში მონაწილე სტაფი და მძღოლები ასევე უნდა იცავდნენ იგივე მოთხოვნებს კოვიდ-19-ზე საექვო ნიმუშების გადაზიდვისას;

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში როგორ დავიცვათ პირები ვინც ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის მიმართავენ კლინიკებს?

- პანდემიის პირობებში რეკომენდებულია ნახველის ან სხვა ნებისმიერი ინფექციური მასალის ბიოუსაფრთხოების კაბინეტებში დამუშავება. თუმცა, თუ ბიოუსაფრთხოების კაბინეტი ხელმისაწვდომი არ არის, მკაცრად დაცული უნდა იყოს ყველა შემდეგი უსაფრთხოების ზომა: N95 რესპირატორი, ხელის დაბანის პროცედურა, ხელთათმანების და სათვალის ან დამცავი ფარის გამოყენება, წყალგაუმტარი ხალათები, ზედაპირების რეგულარული დეკონტამინაცია, სტაფის დისტანცირება ლაბორატორიებში, კარგად ვენტილირებული გარემო და ნიმუშების უსაფრთხო ტრანსპორტირება. ლაბორატორიული მასალის ტრანსპორტირებაში მონაწილე სტაფი და მძღოლები ასევე უნდა იცავდნენ იგივე მოთხოვნებს კოვიდ-19-ზე საექვო ნიმუშების გადაზიდვისას;

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში როგორ დავიცვათ პირები ვინც ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის მიმართავენ კლინიკებს?

- კოვიდ-19-ის მქონე პაციენტებისთვის უეცრად გაზრდილმა სამედიცინო მომსახურების საჭიროებამ, რთულ მდგომარეობაში ჩააგდო სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები მსოფლიოს მასშტაბით. ამ უჩვეულო პერიოდში მნიშვნელოვანია რომ შენარჩუნებული იყოს ტუბსაწინააღმდეგო სერვისების უწყვეტობა.
- კარანტინში მყოფ ქვეყნებში ხანგრძლივი ვადით შეწყვეტილი ლაბორატორიული მასალების წარმოება და საერთაშორისო და ქვეყნის შიდა ტრანსპორტირების შეჩერება უარყოფითად აისახება მედიკამენტების და ლაბორატორიული მასალების მარაგებზე მრავალ ქვეყანაში.
- პანდემიაზე საპასუხოდ ბევრს ქვეყანაში შეზღუდულია გადაადგილება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. კოვიდ-19-ზე საეჭვო ან კონტაქტის მქონე პირებისთვის სავალდებულოა იზოლაცია ყველა ქვეყანაში. კოვიდ-19-ით დაავადებულთა კარანტინის აუცილებლობის შესახებ რეკომენდაცია თავად ჯანმომ გამოსცა.

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში როგორ დავიცვათ პირები ვინც ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის მიმართავენ კლინიკებს...?

- მნიშვნელოვანია რომ იყოს შენარჩუნებული კომუნიკაცია ჯანდაცვის მუშაკებსა და ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს შორის რათა: მიეწოდოთ აუცილებელი მომსახურება, იმართოს არასასურველი მოვლენები და თანმხლები დაავადებები, მიეწოდოთ საკვები და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და მოხდეს მედიკამენტების მარაგების დროული შევსება.
- მოკლე დროში უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება იმ მექანიზმების შესახებ რომლების უზრუნველყოფს მედიკამენტების სახლში მიწოდებას, ტუბერკულოზის მონიტორინგისთვის და ასევე კოვიდისთვისაც ნახველის და საკვლევი ნიმუშების შეგროვებას.
- ვინაიდან სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, სახლის პირობებში მოღებული მკურნალობა გახდება აბსოლუტური ნორმა.
- საზოგადო მუშაკების როლი მეტად უფრო კრიტიკული გახდება. იარსებებენ პაციენტები რომლებიც მკურნალობას პირდაპირ სახლში დაიწყებენ, შესაბამისად მკურნალობის პირველი კვირების განმავლობაში შინამეურნეობაში ტუბერკულოზის ტრანსმისიის რისკი თავიდან უნდა იქნას აცილებული ან მინიმუმამდე დაყვანილი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია რომ ისედაც მარგინალიზირებული და მოწყვლადი პოპულაცია რომელსაც ცუდი ხელმისაწვდომობა აქვს ჯანდაცვის სერვისებთან კიდევ უფრო არ დაზარალდეს.

ტუბერკულოზის გამო გამოკვლეული ყველა პირს უნდა ჩაუტარდეს თუ არა კოვიდ-19-ზე ტესტირება და პირიქით?

ერთი და იმავე პაციენტის ერთდროული ტესტირება როგორც ტუბერკულოზზე ასევე კოვიდ-19-ზე რეკომენდებულია სამი ძირითადი მიზეზის გამო ან შემთხვევაში:

- ორივე დაავადებას აქვს საერთო კლინიკური მახასიათებლები; ან
- შესაძლებელია კონტაქტი ორივე დაავადებასთან; ან
- პაციენტს აქვს რომელიმე დაავადების არაკეთილსაიმედო გამოსავლის რისკი.

- პანდემიის განვითარებასთან ერთად მეტად მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-თან შეხება უფრო და უფრო მეტ ადამიანს, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტს ექნება.
- კოვიდ-19-ის დადასტურება არ გამოირიცხავს ამ პაციენტში თანმხლები ტუბერკულოზის არსებობას, განსაკუთრებით ტუბერკულოზის მაღალი ტვირთის მქონე ქვეყნებში. ჯანდაცვის მუშაკებმა კოვიდ-19 ის მქონე პაციენტებში ასევე უნდა განიხილონ ტუბერკულოზის დიაგნოზიც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ დაავადების პირველი რამოდენიმე კვირის შემდეგ იწყება სისხლიანი ნახველი, ცხელება, ღამის ოფლიანობა ან წონაში კლება.

ტუბერკულოზის გამო მოკვლეული ყველა პირს უნდა ჩაუტარდეს თუ არა კოვიდ-19-ზე ტესტირება და პირიქით?

- სასურველია კოვიდის მქონე პაციენტში ფრთხილად შეიკრიბოს ანამნეზი. გულ-მკერდის რენტგენოგრაფია შესაძლოა დაგვეხმაროს დიფერენციულ დიაგნოსტიკაში.
- ხანდაზმული ასაკი და ისეთი თანმხლები დაავადებები როგორცაა დიაბეტი და ფქოდი, ზრდიან დაავადების სიმძიმის, ინტენსიური მოვლის და მექანიკური ვენტილაციის საჭიროების რისკს. იგივე ფაქტორები აუარესებენ ტუბერკულოზის პროგნოზსაც.
- ასევე პაციენტები რომელთაც წარსულში გადატანილი ტუბერკულოზის გამო ფილტვებში აქვთ ნარჩენი მოვლენები, იმყოფებიან კოვიდ-19-ის გართულების და დამძიმების უფრო მაღალი რისკის ქვეშ. ასე რომ მყარად არის რეკომენდებული ორივე დაავადების ერთდროული ტესტირება ატიპიური კლინიკური მიმდინარეობის შემთხვევებშიც.
- ჯერ უცნობია თუ რა გავლენა ექნება კოვიდ-19-ს სხვა თანმხლები დაავადებების (მალნუტრიცია, თირკმლის უკმარისობა და ღვიძლის დაავადება) მქონე ტუბერკულოზის პაციენტების მკურნალობის გამოსავლებზე. მაშინ როცა ცნობილია რომ უკონტროლო და მკურნალობის გარეშე დატოვებული შიდსი, ტუბერკულოზის განვითარების რისკ ფაქტორია, უკონტროლო შიდსის კოვიდ-19-ზე გავლენა ჯერ უცნობია.

- ჯანმო ქვეყნებს ურჩევს რომ დანერგონ ჯანმოს მიერ რეკომენდებული სადიაგნოსტიკო ალგორითმები როგორც ტუბერკულოზის ასევე კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკოდ პაციენტების კლინიკური მდგომარეობის, პაციენტის ანამნეზის და ტუბერკულოზის ტვირთის გათვალისწინებით. პირველ რიგში კი პროგრამებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე რომ კოვიდ-19-ის ტესტირების პარალელურად არ მოხდეს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკის საჭიროების უგულებელყოფა.

შესაძლებელია ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის ერთი და იგივე ტიპის ნიმუშზე ტესტირება?

- ტუბერკულოზის და კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკო მეთოდები განსხვავდება ერთმანეთისგან და ტესტირებისთვისაც სხვადასხვა მასალა ესაჭიროებათ. ასევე ტუბერკულოზის ტესტირება მეტად დეცენტრალიზებულია, ხოლო კოვიდის ტესტირება რეკომენდებულია უფრო ცენტრალიზებულად წარმართოს საწყის ეტაპზე მაინც.
- ტუბერკულოზისთვის კულტურალური თუ მოლეკულური ტესტირებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნახველი და ბევრი სხვა ბიოლოგიური მასალა.
- კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკო ტესტები კი ძირითადად ამბულატორიულ პაციენტებში ტარდება ცხვირნახიდან ან პირნახიდან ტამპონით აღებული ნაცხის ან გამონარეცხის საშუალებით, თუმცა მძიმე რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტებში შესაძლებელია ენდოტრაქეალური ასპირატის ან ბრონქოალვეოლარული ლავაჟის გამოყენება.
- დღესდღეობით როგორც ტუბერკულოზის ასევე კოვიდ-19-ის სადიაგნოსტიკოდ მოწოდებულია მოლეკულური ტესტების გამოყენება. სეროლოგიური ტესტები არ არის რეკომენდებული კოვიდ-19-ის რუტინული დიაგნოსტიკისთვის.
- ბოლო თვეების განმავლობაში შთამბეჭდავი რაოდენობის სადიაგნოსტიკო ტესტი შეიქმნა (ინფორმაცია ტესტების შესახებ კონსოლიდირებულია FIND-ის მიერ მათ ვებგვერდზე). მათ შორისაა GeneXpert-ის ექსპრეს სარს-კოვ-2 კარტრიჯი რომელსაც 2020 წლის მარტში FDA-იმ სწრაფი გამოყენების ავტორიზაცია მისცა და საკვლევ მასალად ჭირდება ცხვირნახის ნაცხი, ცხვირის გამონარეცხი/ასპირატი. ნახველში კოვიდ-19-ის აღმოჩენაზე კარტრიჯი ჯერ არ შეფასებულა.

ტუბერკულოზისა და კოვიდ-19-ის კოინფექციის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა განსხვავებულია?

- უმეტეს შემთხვევებში ტუბერკულოზის მკურნალობა არ შეიცვლება, თუმცა კოვიდის და ტუბერკულოზის ერთდროული მართვის შესახებ გამოცდილება თითქმის არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ იქ სადაც ამის კატეგორიული უკუჩვენება არ არსებობს, ტუბერკულოზის პრევენციული და სენსიტიური და რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა უნდა უწყვეტად გაგრძელდეს რათა დაცული იყოს პაციენტების ჯანმრთელობა.
- დღეს მსოფლიოს მასშტაბით დანერგილია ტუბერკულოზის საპრევენციო და სამკურნალო საკმაოდ ეფექტური სამკურნალო რეჟიმები. ასე რომ პანდემიის დროს მნიშვნელოვანია რომ მკურნალობა არ შეწყდეს კოვიდ-19-ით დაავადების შემთხვევაშიც რათა გაიზარდოს გამოჯანმრთელების ალბათობა და შემცირდეს ტრანსმისიის თუ დამატებითი რეზისტენტობის განვითარების რისკი.
- გვახსოვდეს! რომ მკურნალობის გარეშე ტუბერკულოზით სიკვდილობა 50%-ს აღწევს და შეიძლება უფრო მაღალი იყოს ხანდაზმულ ასაკში და თანმხლები დაავადებების არსებობისას.
- ასე რომ, კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად შენარჩუნებული უნდა იყოს ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის და ტუბერკულოზის დაავადების მკურნალობის უწყვეტობა

ტუბერკულოზისა და კოვიდ-19-ის კოინფექციის დროს ტუბერკულოზის მკურნალობა განსხვავებულია?

- ასე რომ, კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად შენარჩუნებული უნდა იყოს ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის და ტუბერკულოზის დაავადების მკურნალობის უწყვეტობა

არ უნდა დავუშაოთ ტუბერკულოზის კონტროლის სისტემების რღვევა კოვიდ-19-თან ბრძოლის პერიოდში.

- ვინაიდან კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო კონკრეტული მკურნალობა არ არსებობს და მიმდინარეობს მრავალი კვლევა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობასთან შესაძლო წამალთაშორისი ურთიერთქმედების შესახებ ვერაფერს ვიტყვით.
- მიუხედავად ამისა გულისხურით უნდა შევავროვოთ ინფორმაცია ყველა სამკურნალო საშუალების შესახებ რომელსაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი შეიძლება იღებდეს, რათა თავიდან ავიცილოთ წამალთაშორისი ურთიერთქმედება ან არასასურველი მოვლენები.

მადლობა ყურადღებისთვის!